

წყალში დახრჩობით გამოწვეული სიკვდილიანობის პრევენცია

კვლევა მომზადებულია კამპანია „იცურე მშვიდად“ ფარგლებში.
კამპანიის ინიციატორები არიან:

- ადამიანის უფლებათა ცენტრი,
- CENN,
- პროგრესის ცენტრი,
- ანა დოლიძე.

ავტორი: დოქ. მაკა ნუცუბიძე

რედაქტირება: ანა დოლიძე, ალექო ცქიტიშვილი



კვლევა მომზადებულია „ლია საზოგადოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის შეხედულებებს.

თბილისი, 2018

კვლევის მიზანი: საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო გამოცდილების გაანალიზება **წყალში დახრჩობით გამოწვეული სიკვდილიანობის პრევენციისათვის.**

კვლევის მეთოდები: ტექსტის ანალიზი - კანონმდებლობის, პოლიტიკის დოკუმენტებისა და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი. შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი: სხვა ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკისა და კანონმდებლობის მიმოხილვა.

კვლევის შინაარსი:

შესავალი	3
I. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიში და რეკომენდაცია, როგორც საერთაშორისო სტანდარტი.....	3
II. საქართველოს მიერ საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებები და სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება.....	6
III. საქართველოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს მიმოხილვა.....	11
IV. წყალში დახრჩობის პრევენციის საერთაშორისო გამოცდილება	14
VI. რეკომენდაციები.....	18

შესავალი

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ადამიანის სიკვდილიანობის ათ მიზეზს შორის წყალში დახრჩობით გარდაცვალება მეორე ადგილზეა მსოფლიოში¹. წყალში დახრჩობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მძიმე პრობლემას, რომელიც იწვევს მსოფლიოში წელიწადში 372 000 ადამიანის სიკვდილს. ამგვარი სიკვდილიანობის შემთხვევათა 90% ფიქსირდება საშუალო და დაბალი განვითარების ქვეყნებში².

მსხვერპლთა აბსოლუტური უმრავლესობა მამრობითი სქესის არის და მათი ასაკი 25 წელზე ნაკლებია³. სახელმძღვანელო უმრავლესობას, მათ შორის - საქართველოს, არ გააჩნია ადეკვატური სტატისტიკა და არ ახდენს მონაცემთა შეგროვებასა და დამუშავებას, როგორც რისკის ზონების, ისე შემთხვევათა სპეციფიკის შესახებ.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიშის⁴ და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პრაქტიკული სახელმძღვანელოს მიხედვით⁵, რისკის ძირითად ფაქტორებად მიჩნეულია: დამცავი ფიზიკური ბარიერების არქონა, რომელიც ხელს შეუშლის პოტენციურ მსხვერპლს, მიუახლოვდეს საშიშ ზონას⁶ არაადეკვატური მეთვალყურეობა მცირეწლოვან ბავშვებზე; წყლის თავდაუხურავი რეზერვუარები ან წყალგამტარი არხები; წყალზე ნავით გადაადგილება, განსაკუთრებით - როცა ნავი გადატვირთულია, ან არ არის აღჭურვილი დამცავი რგოლებით და სპეციალური დამცავი ჟილეტებით; წვიმის, წყალდიდობის, ცუნამის ან ციკლონის შედეგად შეცვლილი წყლის კალაპოტები ან სანაპიროები; ცურვის არცოდნა და საფრთხის არცოდნა/გაუთვალისწინებლობა. არსებობს, ასევე, გარკვეული ქცევები, რომლებიც ასევე წარმოადგენს წყალში დახრჩობის მიზეზებს, ესენია - ალკოჰოლის გემოქმედების ქვეშ წყალში ბანაობა, წყლის ტრანსპორტი, წყალდიდობები და წყლის კალაპოტების ბუნებრივი ცვლილებები.

1. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიში და რეკომენდაცია, როგორც საერთაშორისო სტანდარტი

წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პრაქტიკული სახელმძღვანელოს პრინციპებს წყალში დახრჩობის პრევენციისათვის, რომელიც სახელმძღვანელო საუკეთესო გამოცდილების საფუძველზეა შემუშავებული⁶. პრაქტიკული სახელმძღვანელო აერთიანებს 4 ძირითად მიმართულებას: 1. მულტისექტორული თანამშრომლობის აუცილებლობა; 2. სტრატეგიული კომუნიკაციის საშუალებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება წყალში დახრჩობის პრობლემის მიმართ; 3. წყალში დახრჩობის პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და 4. კვლევის განხორციელება: წყალში დახრჩობის პრევენცია მონაცემთა შეგროვებისა და ნიუანსების მაღალ დონეზე შესწავლით.

¹მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიში წყალში დახრჩობის შემთხვევათა შესახებ,

http://www.who.int/violence_injury_prevention/global_report_drowning/en/

²მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიში წყალში დახრჩობის შემთხვევათა შესახებ,

http://www.who.int/violence_injury_prevention/global_report_drowning/en/

³მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიში წყალში დახრჩობის შემთხვევათა შესახებ,

http://www.who.int/violence_injury_prevention/global_report_drowning/en/

⁴მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიში წყალში დახრჩობის შემთხვევათა შესახებ,

http://www.who.int/violence_injury_prevention/global_report_drowning/en/

⁵მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პრაქტიკული სახელმძღვანელო წყალში დახრჩობის შემთხვევათა პრევენციის შესახებ, http://www.who.int/violence_injury_prevention/drowning/drowning_prevention_guide/en/

⁶მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პრაქტიკული სახელმძღვანელო წყალში დახრჩობის შემთხვევათა პრევენციის შესახებ, http://www.who.int/violence_injury_prevention/drowning/drowning_prevention_guide/en/

1. მულტისექტორული თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

მულტისექტორული თანამშრომლობა აერთიანებს საჯარო ხელისუფლებას, სამოქალაქო სექტორს, ჯანდაცვის სექტორს, მკვლევარებს, მედიას, კერძო მენარმეებს, რათა წყალში დახრჩობის პრევენცია მოხდეს სოფლის, რეგიონისა და ცენტრალურ დონეზე:

პირველი ეტაპი: განისაზღვროს დაინტერესებული მხარეები და დამყარდეს მათ შორის კონტაქტი: შეიქმნას პოტენციური თანამშრომლობის მატრიცა პრობლემების, მათი გადაჭრის გზების შესახებ, რომლებიც აისახება სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ გეგმაში.

მეორე ეტაპი: განისაზღვროს ან შეიქმნას თანამშრომელთა შესაძლებლობების ნუსხა.

მესამე ეტაპი: განისაზღვროს ჩარჩო, მიზნები, როლები და პასუხისმგებლობები.

მეოთხე ეტაპი: პრევენციის ადვოკატირება - პრევენციის ინტეგრირება შესაბამისი საჯარო სექტორის პოლიტიკაში, თანამდებობების აღწერა, ძირითადი ინდიკატორები და რეალური დაფინანსების გზები.

მეხუთე ეტაპი: პირველადი და ძირითადი ღონისძიებების განსაზღვრა ქვეყნის სპეციფიკის მიხედვით წყალში დახრჩობის პრევენციისათვის.

მეექვსე ეტაპი: თითოეული მონაწილე მხარის რესურსებისა და ძლიერი მხარეების განსაზღვრა, რათა შედეგი მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს, მაგ. ცნობილი მოცურავე, უშუალოდ ანგარიშვალდებული სამინისტრო, კონკრეტული მედია გაერთიანება და ა.შ.

მეშვიდე ეტაპი: კამპანიაში ფართო მასების ჩასართავად სპეციალური საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა და მედია გადაცემები.

მერვე ეტაპი: საერთაშორისო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა, საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგსა და პროგრამებში პრობლემის ჩართვა, მათი ლობირების მოპოვება, რათა ქვეყანაში პრევენციული ღონისძიებები ფიგურირებდეს იმ საერთაშორისო მოლაპარაკებებში, რომლებსაც სახელმწიფო საერთაშორისო ორგანიზაციებთან აწარმოებს.

მეცხრე ეტაპი: თანამშრომლობის ეფექტიანობის შეფასება და იმ ინსტიტუციების განსაზღვრა, ვინც შესაძლებელია, ჩაერთოს პრობლემის კვლევისა და დაგეგმილი და დასაგეგმი ღონისძიებების გაუმჯობესების პროცესში.

კარგი პრაქტიკული მაგალითია ავსტრალია, რომელმაც 1956 წელს შექმნა „Royal Life Saving Society“, გააერთიანა ადგილობრივი თვითმმართველობები, განათლების სამინისტრო, მაშველთა საზოგადოება, მოხალისეები და თითქმის ერთ მილიონ სკოლის მოსწავლეს ასწავლა ცურვა და წყალზე უსაფრთხოების წესები⁷.

2. სტრატეგიული კომუნიკაციის საშუალებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება წყალში დახრჩობის პრობლემის მიმართ.

მიზანი: მუნიციპალიტეტებში რისკ ჯგუფების ქცევის მოდიფიცირება.

პირველი ეტაპი: სტრატეგიული კომუნიკაციების პერსპექტივების შეფასება. იმისათვის, რომ სტრატეგიული კომუნიკაცია იყოს ეფექტიანი, აუცილებელია, პირველ ეტაპზე გაირკვეს, რას ფიქრობენ (რას ენდობიან) ადამიანები და რატომ ახასიათებთ გარკვეული ქცევები ადგილობრივი გარემოს, სოციალური ნორმების, რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ. ამ მიზნით შესაძლებელია ჯგუფური დისკუსიების მეთოდის გამოყენება - როგორია მოქალაქეთა ცოდნა დახრჩობის პრობლემის შესახებ, რა ტიპის ინფორმაციას საჭიროებენ და რატომ; აქვე ვიღებთ ინფორმაციას მუნიციპალიტეტების მიერ უკვე მიღებული ზომების შესახებ.

მეორე ეტაპი: მოწყვლადი ჯგუფის განსაზღვრა: ერთი მხრივ - რისკ ჯგუფები და მეორე მხრივ - იმ ბავშვების მშობლები, რომელთა შვილებიც წყალში დახრჩობის შედეგად გარდაიცვალნენ.

მესამე ეტაპი: სტრატეგიის განსაზღვრა - მედიის, მესიჯისა და კომუნიკაციის საშუალების განსაზღვრა.

მეოთხე ეტაპი: მესიჯის შესაბამისი ფორმით ჩამოყალიბება.

⁷სოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პრაქტიკული სახელმძღვანელო წყალში დახრჩობის შემთხვევათა პრევენციის შესახებ: http://www.who.int/violence_injury_prevention/drowning/drowning_prevention_guide/en/

მეხუთე ეტაპი: მესიჯის გაჟღერება, გავრცელება პრესით, რადიოთი, ტელევიზიით, საჯარო მანიფესტაცია, თეატრი, დებატები და ა.შ.

მეექვსე ეტაპი: კამპანიის ადვოკატირება. პირველი ფაზა - კამპანია განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კანონმდებლობის ცვლილების ან შემუშავებისათვის; მეორე ფაზა - კანონის მიღების შემდეგ - ახალი კანონის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

საუკეთესო პრაქტიკა: არიზონასა და ბანგლადეშში 1989 წელს ამ სქემით სამი თვის განმავლობაში განხორციელებულმა კამპანიამ 50%-ით შეამცირა წყალში დახრჩობით გამოწვეული სიკვდილიანობის შემთხვევები.

3. წყალში დახრჩობის პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება

ეროვნული გეგმა მოიცავს კოორდინაციის ძირითად პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს, პრაქტიკულ გადაწყვეტილებებსა და მექანიზმებს. ეს გეგმები, რომლებიც ხშირად სტრატეგიის ან პოლიტიკის დოკუმენტის სახეს ატარებს, აქცენტს აკეთებს ზოგადად პრევენციის მნიშვნელობაზე ან ცალ-ცალკე ადგილობრივ თვითმმართველობაზე, საჯარო ხელისუფლებაზე, პრობლემის სხვადასხვა ცალკეულ საკითხებზე, მაგალითად, როგორიცაა - კერძო საცურაო აუზებში დახრჩობის შემთხვევები.

პირველი ეტაპი: სიტუაციის შეფასება - წყალში დახრჩობის კონტექსტში სახელმწიფოს შესახებ მონაცემები უნდა იყოს შესწავლილი.

მეორე ეტაპი: განისაზღვროს ხელისუფლების პასუხისმგებელი ორგანოები და პირები.

მესამე ეტაპი: დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა - კანადის გეგმა ეფუძნება დაინტერესებული მხარეების ინკლუზიურ კვლევას, მათთან კონსულტაციებისა და თანამშრომლობის მოდელს და აერთიანებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, ჯანდაცვის სექტორსა და წყალთან დაკავშირებული კატასტროფების მართვის სააგენტოს.

მეოთხე ეტაპი: საბაზისო ჩარჩოს განსაზღვრა საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, ექსპლიციტურად განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის ხედვა, ამოცანები და პრინციპები. წყალზე უსაფრთხოების გეგმების არსებული ანალიზი მოწმობს, რომ არ არსებობს ერთი კონკრეტული მოდელი, რომელიც ყველა ქვეყნის რეალობას მოერგება და მიესადაგება. ღონისძიებათა დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული ქვეყნის ინდივიდუალური მონაცემები და პრობლემის გამომწვევი მახასიათებლები. ვიეტნამმა გადაწყვიტა, საკუთარი გეგმა დაეფუძნებინა ფუნქციურ პრიორიტეტებზე და სხვადასხვა სამინისტროების პასუხისმგებლობების გადანაწილებაზე. თავის მხრივ, ავსტრალიის გეგმა დაფუძნებულია მიზნებსა და ამოცანებზე, რომლებსაც დაინტერესებული მხარეები ერთობლივად განსაზღვრავენ. გაერთიანებული სამეფოს 2016-2026 წლის სტრატეგია ეფუძნება მონაცემთა ანალიზს, რათა ჩამოაყალიბოს ოთხი სტრატეგიული თემა - წყალში დახრჩობის ოთხ ძირითად მიზეზთან მიმართებაში.

მეხუთე ეტაპი: ამოცანებისა და ინტერვენციების საშუალებების განსაზღვრა. თითოეული სახელმწიფოს გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ჩარევის საშუალებების აღწერას, რომელიც დაეფუძნება უახლეს მონაცემებს, პასუხისმგებლობების გადანაწილებას, კოორდინაციის მექანიზმებსა და საჭირო რესურსებს.

მეექვსე ეტაპი: ხელისუფლების მხარდაჭერის მოპოვება. ტაილანდის სამოქმედო გეგმა მხარდაჭერილია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, რომლის დაქვემდებარებაშიც შექმნილია ბავშვთა წყალში დახრჩობის საწინააღმდეგო კომიტეტი, რომელმაც შეიმუშავა პოლიტიკა და ცურვის შესაწავლისა და წყალზე უსაფრთხოების პროგრამა.

მეშვიდე ეტაპი: სამოქმედო გეგმის განხორციელება და მასზე ზედამხედველობა.

4. კვლევის განხორციელება: წყალში დახრჩობის პრევენცია მონაცემთა შეგროვებისა და ნიუანსების მალალ დონეზე შესწავლით.

პირველი ეტაპი: არსებული მონაცემების ანალიზი და მონაცემთა შეგროვების სისტემის გაუმჯობესება - ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაცია; სტატისტიკა; მედიაში გავრცელებული ინფორმაცია.

მეორე ეტაპი: რისკფაქტორების განსაზღვრა, რათა უკეთ გაანალიზდეს მისაღები პრევენციული ღონისძიებები. ადგილობრივი თვითმმართველობების ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზი, მათი გამოკითხვა; ქცევისა და პრაქტიკის ანალიზი.

მესამე ეტაპი: კვლევა ჩარევის ზომების ეფექტიანობის უკეთ დასაგეგმად. სხვადასხვა კვლევები აჩვენებს, რომ პრევენციისათვის ეფექტიანი ჩარევა გულისხმობს ტექნიკური, გარემოსდაცვითი, საკანონმდებლო და აღმზრდელობითი ღონისძიებების ერთობლიობას ცალკეული შემთხვევების გათვალისწინებით.

II. საქართველოს მიერ საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებები და სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება

2015 წლიდან 2017 წლამდე საქართველოს მდინარეებში, ტბებში თუ ზღვებში 352 ადამიანი წყალში დახრჩობის შედეგად გარდაიცვალა, მათგან უმეტესობა ბავშვი და ახალგაზრდაა⁸. რაც შეეხება ბოლო შემთხვევებს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, 2018 წლის აპრილი-სექტემბრის პერიოდში, წყალზე სამაშველო ღონისძიებებთან დაკავშირებით, სამსახურში შევიდა 560 შეტყობინება. ამ პერიოდში საქართველოს ტბებში, მდინარეებსა და ზღვებში სულ დაღუპულია 65 ადამიანი⁹.

სიცოცხლის უფლება — ადამიანის უფლებების კონცეფციაში ერთ-ერთი ფუნდამენტური და აბსოლუტური უფლება. სიცოცხლის უფლება აღიარებული და დაცულია, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით, ისე საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლით¹⁰. სიცოცხლის უფლება გულისხმობს, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის თანდაყოლილი უფლება. ეს უფლება კანონითაა დაცული. სიცოცხლის უფლება ნეგატიურ ვალდებულებებთან¹¹ ერთად სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას - უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის ეფექტიანი დაცვა.

პოზიტიური ვალდებულებები კი ისეთი ვალდებულებებია, როდესაც სახელმწიფოს ევალება არა მხოლოდ არ დაარღვიოს კონვენციებით გათვალისწინებული უფლებები, არამედ უზრუნველყოს მათი დაცვა, მათ შორის - მესამე მხარის მიერ (იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი).

სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულების უზრუნველსაყოფად, ეფექტიანი კანონმდებლობის არსებობა აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. თანაბრად მნიშვნელოვანია მისი ეფექტიანი აღსრულება. სახელმწიფო ვალდებულია, ჰქონდეს კანონის აღსრულების იმგვარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილებას, ისე პასუხისმგებელ პირთა დასჯას¹².

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ კანონის აღსრულების სისტემა ფუნქციონირებდეს მაღალი პროფესიული სტანდარტით და ამ სისტემაში მომუშავე პირები აკმაყოფილებდნენ შესაბამის მოთხოვნებს.

კანონის ეფექტიანი აღსრულება გულისხმობს გრძელ პროცედურულ მოვალეობებს - სისხლის სამართლის საქმის დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, ობიექტურ და ყოველმხრივ გამოძიებასა და სასამართლო განხილვას, ასევე – დამნაშავეთა ადეკვატურად დასჯას. როგორც სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, „კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნები სცილდება ოფიციალური

⁸იხ. სტუდია მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება - სიკვდილის ზონები საქართველოში - <https://www.youtube.com/watch?v=6-g1jf0ffE> ;

⁹საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი ადამიანის უფლებათა ცენტრისადმი -ES 8 18 00075230.

¹⁰მუხლი 10. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები 1. ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია. 2. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია.

¹¹სახელმწიფოს მიერ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის აკრძალვა.

¹²*Angelova and Iliev v Bulgaria*, no. 55523/00, § 92, ECHR 2007-IX; ECHR 2007; *Rantsev v Cyprus and Russia*, no. 25965/04, § 232, ECHR 2010.

გამოძიების სტადიას და მოიცავს... სასამართლო განხილვის ეტაპსაც“... „ეროვნულმა სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან, რომ სიცოცხლის ხელყოფა დაუსჯელი დარჩეს“¹³.

ევროპული კონვენციის სამართლის მიხედვით, განსაკუთრებით მკაცრია პოზიტიური ვალდებულებანი ისეთ დროს, როდესაც ადამიანის სიცოცხლე პასუხისმგებლობა სახელმწიფო ორგანოს ან სახელმწიფო მოხელეს ეკისრება. საქმეში *Enukidze and Girgvlani v Georgia* ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული დარღვევა აღიარა სწორედ იმიტომ, რომ საქმეზე ჩატარებული გამოძიება აშკარად არ აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, არ უზრუნველყოფდა საჭაროობასა და სანდოობას, მომჩივნებს თვითნებურად აღევკვეთათ სასამართლო განხილვაში ეფექტიანი მონაწილეობის უფლება, დამნაშავეთათვის შეფარდებული სასჯელი არ იყო ჩადენილი დანაშაულის ადეკვატური, ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა კი უსაფუძვლოდ შეიწყალა ისინი¹⁴.

სახელმწიფო პრინციპულად მოვალეა, იზრუნოს საიმისოდ, რომ აღკვეთოს სიცოცხლისთვის საფრთხე, მაგრამ ეს მოვალეობანი შეზღუდულია. მაგალითად, სახელმწიფო მოვალეა, გაატაროს ღონისძიებები ტერორისტული აქტებისაგან მოსახლეობის დასაცავად, მაგრამ სახელმწიფოს არ მოეთხოვება, გამოირიცხოს ყოველგვარი შესაძლო ძალადობა ადამიანის წინააღმდეგ. მთავარია შეფასდეს, გაატარა თუ არა სახელმწიფომ საკმარისი ღონისძიებები ადამიანთა სიცოცხლის დასაცავად¹⁵. ის ვალდებულია, იზრუნოს იმ საფრთხის გასაწეიტრალებლად, რომელიც წარმოიშობა მოსახლეობისათვის საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ნაკლებობის, სამედიცინო დახმარების არარსებობის, გზებზე, სამუშაო თუ საცხოვრებელ ადგილას უსაფრთხოების არარსებობის, ანდა გარემოს დაბინძურების გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე - კრუმ და სილვა კოელო პორტუგალიის წინააღმდეგ¹⁶ - რამდენიმე მიმართულებითაა საინტერესო. თავად მოსარჩელები, 19 წლის ბიჭის მშობლები ევროსასამართლოს წინაშე დავობდნენ მათ მიმართ კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-6 პირველი მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევის გამო, ვინაიდან პორტუგალიის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მათი სამოქალაქო საჩივარი ბიჭის ანაზღაურების შესახებ.

საქმე ეხებოდა ახალგაზრდა ბიჭის გარდაცვალების ფაქტს, როდესაც ეს უკანასკნელი მდინარის პირას მუხლამდე წყალში სეირნობდა, ვინაიდან არ იცოდა ცურვა. მოულოდნელად იგი ჩავარდა ღია ორმოში მდინარის ნაპირზე, რომლის სიღრმეც მის სიმაღლეს აღემატებოდა. ორმო წარმოშობილი იყო მდინარის კალაპოტის ცვლილებით. ადგილობრივ ხელისუფლებას ადგილზე არ ჰქონდა არანაირი შეტყობინების აბრა განთავსებული, რამაც, გარდაცვლილი ბიჭის მშობლების მტკიცებით, გამოიწვია მათი შვილის წყალში დახრჩობა. დაზარალებულმა მშობლებმა მიმართეს პორტუგალიის სასამართლოს. სარჩელი წარადგინეს ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ მათი შვილის გარდაცვალება მოხდა სწორედ სახელმწიფოს მიერ საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო. პორტუგალიის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა. მოგვიანებით მშობლებმა მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და ამტკიცებდნენ, რომ მათ მიმართ დაირღვა სიცოცხლის უფლება და სამართლიანი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება და, რომ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ჰქონდა პოზიტიური ვალდებულება, მიეღო შესაბამისი ზომები და მინიმუმ გამაფრთხილებელი აბრა განეთავსებინა სიცოცხლისთვის საშიშ ზონაში.

პორტუგალიის მთავრობა ევროსასამართლოს წინაშე ამტკიცებდა, რომ მას არ უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა, ვინაიდან მან არ იცოდა და არ შეეძლო სცოდნოდა საშიში ზონის შესახებ. ასევე, მთავრობა აცხადებდა, რომ არ ჰქონდა ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება, ვინაიდან შეუძლებელია, მთავრობამ წინასწარ იცოდეს ბუნებრივი კატაკლიზმის შედეგად გაჩენილი საშიში ზონების შესახებ.

¹³ *Moisieiew v Poland*, no 11818/02, § 53, 24, March 2009; 53, *Esat Bayram v Turkey*, no 75535/01, § 47, 26 May 2009.

¹⁴ App. No 25091/07, judgment of 26 April 2011.

¹⁵ *W v The United Kingdom* (app. No. 9348/81, 32 DR. 1983).

¹⁶ *Cruz da Silva Coelho c. Portugal (déc.)* - 9388/02 Décision 31.3.2005 [Section II]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი, მან მიიღო საქმე არსებითად განსახილველად, მიიჩნია რა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, გაატაროს საკმარისი ღონისძიებები ადამიანთა სიცოცხლის დასაცავად. საბოლოოდ, ევროსასამართლოში დავა დასრულდა მორიგებით - პორტუგალიის მთავრობამ მოსარჩელეს გადაუხადა 72000 ევრო მორალური და 20 000 ევრო მატერიალური ზარალისთვის¹⁷.

ორჰუისის კონვენციის მიხედვით, „გარემოსათვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ბუნებრივი ხასიათის ან ადამიანთა ქმედებებით გამოწვეული რაიმე საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიანდოს მოსახლეობას, რომელსაც შეიძლება ეს შეეხო, მათ განკარგულებაში არსებული მთელი ინფორმაცია, რაც მოსახლეობას მისცემს საშუალებას, მიიღოს ზომები, მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან ზეგავლენის შესამცირებლად“¹⁸.

საქმეში „ლ.ც.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ - ევროსასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი - სიცოცხლის უფლება, შეიძლება დაირღვეს, როდესაც ქვეყნის ხელისუფლება არ მიაწვდის ინფორმაციას არსებული რისკების თაობაზე იმ ადამიანებს, რომლებიც რისკის ქვეშ იმყოფებიან. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ აღიარა სიცოცხლის უფლების ფართო გაგება, რომლის თანახმად, სახელმწიფოს გარკვეულ გარემოებებში ადამიანთა სიცოცხლის დაცვის მიზნით ზომების მიღების პოზიტიური ვალდებულება ეკისრება¹⁹.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ²⁰.

გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით, საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს: სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი; მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ²¹. ამავე კანონის მე-7 მუხლი საქართველოს მოქალაქეს ავალდებულებს, მოსალოდნელი ან მომხდარი ბუნებრივი და ტექნოგენური ავარიისა და სხვა ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ ინფორმაციის მიღებისას დროულად აცნობოს სათანადო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს ან განაცხადოს საჭაროდ²².

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი, ძირითადად, არეგულირებს ზედაპირულ წყლებთან დაკავშირებულ ასპექტებს და ფაქტობრივად რეგულირების გარეშე ტოვებს მინისქვეშა (გრუნტის) წყლების რესურსებსა და სანაპირო წყლებს.²³

წყლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, ფაქტობრივად, არ რეგულირდება წყლის ბუნებრივი რესურსების მართვასთან, აგრეთვე წყლის ობიექტების ფლობასთან, სარგებლობასთან და განკარგვასთან დაკავშირებული საკითხები²⁴.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან, 1997 წლის შემდგომ პერიოდში, არ მომხდარა კანონით განსაზღვრული ნორმების თანმიმდევრული ასახვა კანონმდებლობის

¹⁷ *Cruz da Silva Coelho c. Portugal (déc.) - 9388/02* Décision 31.3.2005 [Section II]

¹⁸ კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, მე-5 მუხლი, I პუნქტი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0>

¹⁹ *L.C.B. v. the United Kingdom*, 14/1997/798/1001, 09/06/1998.

²⁰ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

²¹ გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6

მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=25>

²² გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=25>

²³ წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი, მარიამ მაკაროვა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2018 წელი. <http://www.moe.gov.ge/ka/home>

²⁴ წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი, მარიამ მაკაროვა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2018 წელი. <http://www.moe.gov.ge/ka/home>

მომიჯნავე დარგებში (განსაკუთრებით, მიწათსარგებლობის სფეროში მიღებულ კანონმდებლობასა და საზღვაო კანონმდებლობაში).

ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებების შესაბამისად, ნათელია, რომ წყლის სფეროში ძირეული გაუმჯობესების მიღწევა მხოლოდ ამ სფეროს მიმანმდართული და თანმიმდევრული რეფორმირებით არის შესაძლებელი. ამგვარმა რეფორმამ კომპლექსურად უნდა მოიცვას წყლის რესურსების დაცვასა და რაციონალურ გამოყენებასთან (მდგრად) დაკავშირებული ყველა ასპექტი – სტრატეგიული, სამართლებრივი, ინსტიტუციონალური, ნორმატიულ-ტექნიკური, ადმინისტრაციული და ფინანსური.

ამასთან, რეფორმა, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, უნდა დაეყრდნოს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ თანამედროვე მოთხოვნებს, რომლებმაც წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის თანამედროვე პრინციპებსა და მიდგომებში ჰპოვეს გამოხატულება.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპები ყველაზე უფრო სრულყოფილად და თანმიმდევრულად ევროკავშირის წყლის კანონმდებლობაში აისახა²⁵.

წყლის რესურსების მართვის შესახებ ევროკავშირის საბაზისო კანონმდებლობა მოიცავს: ჩარჩო დირექტივას „წყლის შესახებ“ (2000/60/EC); დირექტივას „პლიაჟის ზონების (სარეკრეაციო ზონის) წყლის ხარისხის შესახებ“ (2006/7/EC); დირექტივას „საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შესახებ“ (91/271/EEC); დირექტივას „წყალდიდობების რისკების შესახებ“ (2007/60/EC); დირექტივას „სოფლის მეურნეობის წარმოების შედეგად გენერირებული ნიტრატებით წყლის დაბინძურების შესახებ“ (91/676/EEC); დირექტივას „ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ“ (98/83/EC); დირექტივას „საბანაო წყლის ხარისხის შესახებ“ (Directive 2006/7/EEC)²⁶.

ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად წყლის რესურსების რეგულირების სფეროში უნდა მოიცვას: ბედაპირული წყლები; გარდამავალი წყლები; მიწისქვეშა წყლები; სანაპირო წყლები და წყალდაცვითი ზოლები²⁷.

გარემოს დაცვის სფეროში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ხელმომწერ სახელმწიფოს მთელ რიგ ვალდებულებებს უყენებს²⁸. კერძოდ, გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტული საკითხები, როგორიცაა - სტრატეგიული დაგეგმვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, განათლება და ტრენინგი, მონიტორინგი და გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემების ჩამოყალიბება, ინსპექტირება და კანონალსრულება, გარემოსდაცვითი ვალდებულებები, გარემოსდაცვით დანაშაულთან ბრძოლა, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ეფექტიანი ადმინისტრაციული და სასამართლო პროცედურების არსებობა; წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, მათ შორის, წყალდიდობის რისკების მართვა, წყლის რესურსების სიმცირე და გვალვა.

შეთანხმების მიხედვით, საქართველომ უნდა შეასრულოს დირექტივის შემდეგი მოთხოვნები²⁹:

✓ მიიღოს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და განსაზღვროს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო. დირექტივის ეს მოთხოვნა უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში.

✓ ჩამოაყალიბოს პროცედურა, რომლის მიხედვითაც მოხდება გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელი პროგრამა ან გეგმა უნდა დაექვემდებაროს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას. აგრეთვე, უნდა დაადგინოს ის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც გეგმები და პროგრამები უნდა დაექვემდებარონ სავალდებულო სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას (მუხლი 3);

²⁵წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი, მარიამ მაკაროვა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2018 წელი. <http://www.moe.gov.ge/ka/home>

²⁶წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი, მარიამ მაკაროვა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2018 წელი. <http://www.moe.gov.ge/ka/home>

²⁷წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი, მარიამ მაკაროვა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2018 წელი. <http://www.moe.gov.ge/ka/home>

²⁸ევროკავშირის დირექტივა 2001/42/EC სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ

²⁹წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი, მარიამ მაკაროვა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2018 წელი. <http://www.moe.gov.ge/ka/home>

✓ ჩამოაყალიბოს გარემოსდაცვითი უწყებებთან და სამოგადოებასთან კონსულტაციების ჩატარების პროცედურები.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის განმარტება საქართველოს მოქმედ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში არ გვხვდება, მაგრამ საქართველოს მიერ რატიფიცირებული ორჰუსის კონვენცია განმარტავს³⁰, თუ რა არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია. ორჰუსის კონვენციის მიხედვით, „გარემოსათვის ან ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ბუნებრივი ხასიათის ან ადამიანთა ქმედებებით გამოწვეული რაიმე საფრთხის მოახლოების შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მოსახლეობას, რომელსაც შეიძლება ეს შეეხოს, მათ განკარგულებაში არსებული მთელი ინფორმაცია, რაც მოსახლეობას მისცემს საშუალებას, მიიღოს ზომები მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან ზეგავლენის შესამცირებლად“.

საჯარო ინფორმაციის ცნებას განმარტავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (შემდგომში - ბაკ). ბაკ-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით „საჯარო ინფორმაცია“ არის ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის - ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მომსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“. ბაკ-ის 28-ე მუხლის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია ღიაა და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა (მაგ., როდესაც ინფორმაცია წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას); ხოლო 36-ე მუხლის მიხედვით, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე“. მნიშვნელოვანია, რომ ბაკ-ის 42-ე მუხლში მოცემულია იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია. ამ ჩამონათვალში შედის „ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას“³¹.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის განმარტების არქონა ეროვნულ კანონმდებლობაში ქმნის მნიშვნელოვან სირთულეს. კერძოდ, ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, რომელი დაწესებულება რა საჯარო გარემოსდაცვით ინფორმაციას უნდა ფლობდეს, აგროვებდეს და ავრცელებდეს. ამგვარი მოთხოვნები გაფანტულია სხვადასხვა კანონსა და კანონქვემდებარე აქტში. რეალურად კი, გარემოსდაცვით ინფორმაციას შესაძლებელია, ფლობდეს რამდენიმე საჯარო უწყება.

აღსანიშნავია, რომ არ არის შემუშავებული საჯარო დაწესებულებების მიერ ვებ-გვერდებზე საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტი. ამიტომ, ის, თუ რა უნდა გამოქვეყნდეს ამა თუ იმ საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე, ამავე საჯარო უწყების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის - სამოგადოების სრულფასოვან მონაწილეობას გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკის დოკუმენტების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შეფასების მიზანია, ხელი შეუწყოს კომპეტენტური ორგანოების მიერ გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებას. სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას, ხშირად, დემოკრატიის ინსტრუმენტსაც უწოდებენ, ვინაიდან ის აძლევს საშუალებას სამოგადოებას და მის თითოეულ წევრს, იყოს ინფორმირებული და მონაწილეობდეს იმ

³⁰კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვების მიღების პროცესში სამოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0>

³¹საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=26>

გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მის საცხოვრებელ გარემოზე, ჯანმრთელობასა და ყოფა-ცხოვრებაზე³².

ინფორმაციის თავისუფლების ხელყოფას დაეყრდნო მოსარჩელე მხარე საქმეში - ანა მარია გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ³³. მოსარჩელე აცხადებდა, რომ ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა არ შეასრულეს თავისი პოზიტიური ვალდებულება და არ აცნობეს ქიმიური ქარხნის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას (მათ შორის მოსარჩელებს) იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ქარხნის ექსპლუატაციას სდევდა თან. მოსახლეობას ასევე არ ეცნობა უსაფრთხოების იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ უეცარი ავარიის დროს უნდა მიეღოთ, რაც პრეზიდენტის განკარგულებით იყო დამტკიცებული. მოსარჩელე მხარე თვლიდა, რომ სახელმწიფომ ამით დაარღვია კონვენციის მე-10, მე-8 და მე-2 მუხლებით გარანტირებული მათი უფლებები. ადამიანის უფლებათა კომისიამ დაადგინა, რომ „საზოგადოებრივი ინფორმაცია არის საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის უმთავრესი იარაღი იმ სიტუაციებში, რომლებიც გარემოს საშიშროებას უქმნის“. კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სახელმწიფო, არდამდგარი უარყოფითი შედეგის მიუხედავად, ვალდებული იყო, გაეტარებინა ყველა ღონისძიება, რათა საზოგადოებას შეეტყო ქიმიური ქარხნის მავნე ზემოქმედებისა და საშიშროების შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. კომისიამ დაადგინა, რომ მოსახლეობის ხანგრძლივი არაინფორმირებულობა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც თან სდევს მათი საცხოვრებელი ადგილის სიახლოვეს მდებარე ქიმიური ქარხნის მუშაობას, არის სახელმწიფოს მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელმაც დროულად და დეტალურად არ აცნობა მოსახლეობას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ³⁴.

III. საქართველოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს მიმოხილვა

საქართველოს ტერიტორია გეოგრაფიულად წყალუხვი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება. საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მინიმალური სტანდარტითაც არ არის დაკმაყოფილებული ზემოხსენებული საერთაშორისო ვალდებულებები სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონებს „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“, ამ კანონს და საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში³⁵.

კანონი არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის წყლის დაცვის, შესწავლისა და გამოყენების სფეროში; კანონი განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციებს წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის სფეროში³⁶.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებებს ზედამხედველობს თვითმმართველი ერთეული, ასევე - ახორციელებს წყლის გამოყენებისა და დაცვის კონტროლს³⁷.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის განსაზღვრულია პირობები, რა დროსაც წყალმოსარგებლეს შეიძლება შეეზღუდოს უფლება - „განსაკუთრებული მცირეწლიანობის, წყლის ობიექტზე ავარიული სიტუაციის, ეპიდემიისა და ეპიზოტიის გაჩენის საშიშროების, სტიქიური

³²საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=2>

³³ *Anna Maria Guerra and others v. Italy*, 116/1996/735/932, 17/02/1998

³⁴ *Anna Maria Guerra and others v. Italy*, 116/1996/735/932, 17/02/1998.

³⁵საქართველოს კანონი წყლის შესახებ, მუხლი 3 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448>

³⁶საქართველოს კანონი წყლის შესახებ, მუხლი 5 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448>

³⁷ წყლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 12. თვითმმართველი ერთეულების კომპეტენცია წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მონესრიგების სფეროში.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448?publication=23>

უბედურების, სამხედრო მოქმედებების დროს და სხვა ექსტრემალურ ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყალმოსარგებლეთა უფლებები შეიძლება, შეიზღუდოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე სხვა წყალმოსარგებლეთა ინტერესების გამო. **საერთო წყალმოსარგებლობის უფლება შეიძლება, შეიზღუდოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად**, თევზის დასაცავად და სხვა თვალსაზრისით. ამ მიზნით სამინისტრო თვითმმართველი ერთეულის წარდგინებით განსაზღვრავს ადგილებს, სადაც აკრძალულია ბანაობა, ნავით სეირნობა, წყლის სასმელად და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის აღება, პირუტყვის დარწყულება, თევზჭერა და სხვა საქმიანობა³⁸.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია: გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების (მათ შორის - წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების) მართვა კანონით დადგენილი წესით; თ) წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება³⁹.

კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს ფართო უფლებამოსილება აქვს და იმის მიუხედავად, რომ ცალკე არ არის კანონში გაწერილი სანაპირო ზოლების დაცვისა და საბანაო ადგილების მოწყობა/ზედამხედველობის უფლებამოსილება, ზემოხსენებული წყლის რესურსების მართვის ვალდებულებიდან გამომდინარე კანონი უნდა ითვალისწინებდეს სპეციალურ ჩანაწერს. აქვე აღსანიშნავია, რომ კოდექსის ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით“⁴⁰.

სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების სახეები⁴¹:

მ) წყალზე სამაშველო სამუშაოების ჩატარება, გარდა „სამღვათ-სამაშველო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა⁴².

ამავე კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით⁴³. აქვე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტი საქართველოს მთავრობას დღემდე არ აქვს მიღებული.

მოქმედი კანონმდებლობით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური არის სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, ერთიანი სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებასა და სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელებას. სამსახურის ფუნქციებია: ა) საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების მიზნით, რისკების მუდმივი იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება; ბ) პრევენციული ღონისძიებებისა და პროექტების დაგეგმვა და განხორციელება სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და საჯარო და

³⁸ „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 40. იხ.:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448?publication=23>

³⁹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=38>

⁴⁰ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=38>, 2018 წლის 14 ოქტომბრის მდგომარეობით.

⁴¹ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების სახეები და მომსახურების განევა, თავი XI, მუხლი 67. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების

სახეები. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4243170?publication=0>

⁴² სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონი,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4243170?publication=0>

⁴³ სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონი,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4243170?publication=0>

კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან თანამშრომლობით; გ) მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის შესახებ აღრეული შეტყობინების სისტემის შექმნის ორგანიზება და განვითარება, აღრეული შეტყობინების სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვება და დამუშავება. დ) საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მართვის ორგანიზება და სამოქალაქო უსაფრთხოების ზომების გატარება.

ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს კანონი საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ⁴⁴, რომელიც არეგულირებს „ზღვაში განსაცდელში მყოფი ყველა ადამიანისთვის, გემისთვის ან/და საფრენი აპარატისთვის, განურჩევლად მათი ეროვნული კუთვნილებისა და სტატუსისა, დახმარების აღმოჩენის და ავარიის შედეგად დაღვრილი ნავთობითა და მავნე ნივთიერებებით ზღვის დაბინძურების ლიკვიდაციის წესებს“.

კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, განსაცდელში მყოფი ადამიანების გადარჩენისას, აუცილებლობის შემთხვევაში, სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრი კოორდინაციას უწევს საძიებო-სამაშველო რაიონში მყოფი სანაოსნო კომპანიების, საზღვაო ნავსადგურების, საქართველოს სამინისტროების, უწყებების და სხვა სპეციალური ქვედანაყოფების სამაშველო სამსახურების სამუშაოებს და ძალებს. სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო და სააგენტო ვალდებული არიან, დანიშნონ ბუქსირის, სამხედრო გემისა და საჰაერო ხომალდის მუდმივი მორიგეობა, რომლებიც 30 წუთში მზად იქნებიან საძიებო-სამაშველო ოპერაციაში მონაწილეობისათვის. საძიებო-სამაშველო ოპერაციების გეგმების დროულად კორექტირების მიზნით მათი მორიგეობის განრიგის შესახებ ინფორმაცია ყოველწლიურად გადაეცემა სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრს.

სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრი საძიებო-სამაშველო ოპერაციის ჩატარების შესახებ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ სამინისტროებსა და ორგანიზაციებს.

იმის მიუხედავად, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლზე არსებობს ე.წ. კერძო სანაპიროები, საქართველოს კანონმდებლობა არ აწესებს სპეციალურ რეგულაციებს კერძო ბიზნესის მიერ წყალზე უსაფრთხოების ზომების მისაღებად მომზადებული მაშველების დაქირავებისა და პატრულირების შესახებ.

ქვეყანას არ გააჩნია პოლიტიკა და კანონმდებლობა წყალზე სიცოცხლისთვის საშიში ზონების განსაზღვრისა და მათი მუდმივი მონიტორინგის ვალდებულების შესახებ. არ არსებობს სამოქმედო გეგმა, რომელიც სახელმწიფო უწყებებს შორის კომპეტენციებს გამიჯნავს და პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვისას კოორდინაციას დააწესებს.

2018 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რაც უდავოდ მისასალმებელი, მაგრამ არასაკმარისია. ცვლილება შევიდა კოდექსის 177-ე მუხლში. კერძოდ, მე-13 პუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების წესების დარღვევა ან შეურულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარიდან 3 000 ლარამდე ოდენობით⁴⁵. ცვლილება ამოქმედდება 2018 წლის 1 ნოემბრიდან⁴⁶.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლი, როგორებიცაა -

⁴⁴საქართველოს კანონი საზღვაო-სამაშველო სამსახურის შესახებ.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/17296?publication=9>, 2018 წლის 14 ოქტომბრის მდგომარეობით.

⁴⁵პროექტის განმარტებით ბარათში ხაზგასმულია, რომ ყოველწლიურად, საცურაო სეზონზე უსაფრთხოების წესების დაუცველობის გამო, ადამიანის დაღუპვის ფაქტები ფიქსირდება. გარდა ამისა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლისთვის დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხელის შეშლა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. „პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ობიექტზე მისულ სამსახურის მოსამსახურეებს ობიექტის შემოწმებაში ხელი ეშლებათ. კერძოდ, ობიექტის თანამშრომლები უარს უცხადებენ ობიექტზე მათ დაშვებაზე. ამდენად, მოცემული პრობლემის გადაჭრის მიზნით, პროექტში ასახულია შესაბამისი ცვლილება, რომლის დარღვევაც იწვევს პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით“, - ნათქვამია პროექტის განმარტებით ბარათში.

⁴⁶საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=409>, 2018 წლის 14 ოქტომბრის მდგომარეობით.

გულგრილობა⁴⁷, სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება⁴⁸; სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით⁴⁹ და სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება⁵⁰ შესაძლებლობას იძლევა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დადგეს იმ სახელმწიფო და/ან კერძო ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც ვალდებული არიან, მიიღონ პირველადი ზომები, დაამონტაჟონ ბარიერები და გამაფრთხილებელი აბრები. თუმცა, იმის გამო, რომ საკანონმდებლო რეგულაცია ცალსახად არ მიჯნავს ერთმანეთისგან კომპეტენციებსა და პასუხისმგებლობებს სამართალდამცავი ორგანოები ვერ ახერხებენ პასუხისმგებელი ორგანოს/პირის დადგენას და მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას.

IV. წყალში დახრჩობის პრევენციის საერთაშორისო გამოცდილება

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები წყალში დახრჩობის პრევენციის შესახებ მიჯნავს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების პრევენციის სამომხმედო გეგმების სპეციფიკას⁵¹.

ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც ეროვნული კანონმდებლობა შეესაბამება წყლის სფეროში არსებულ ევროპულ დირექტივებს, ითვლება, რომ განვითარებულ ქვეყნებს წყლის ობიექტების შესწავლისა და მონიტორინგის საკითხი უკვე მოგვარებული აქვთ, კომპეტენციებიც გამიჯნულია და სიცოცხლისთვის საშიშ ზონებში შესაბამისი გამაფრთხილებელი აბრები და ბარიერებიც განთავსებულია⁵².

2011 წლის 27 მაისს საბანაო წყლის ხარისხის შესახებ დირექტივის აღსასრულებლად ევროკომისიამ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება საბანაო წყლების კლასიფიკაციისა და ინფორმაციის განთავსების ერთიანი სიმბოლოების შემოღების შესახებ⁵³ (იხ. დანართი 1). სპეციალური ნიშნები მოიცავს ცურვის ამკრძალავ და წყლის ხარისხის შესაბამის სიმბოლოებს: სამი ვარსკვლავი ნიშნავს „წყლის ხარისხი საუკეთესოა“, ორი ვარსკვლავი „კარგია“, ერთი ვარსკვლავი - „დამაკმაყოფილებელია“, ხოლო დეფისი ნიშნავს, რომ წყლის ხარისხი საბანაოდ უვარგისია⁵⁴.

ევროკავშირის ქვეყნებისთვის წყალში დახრჩობის უმრავლესი შემთხვევები ფიქსირდება არა ღია წყლებში, არამედ კერძო და საჯარო საცურაო აუზებში⁵⁵. შესაბამისად, ევროკავშირი წევრი სახელმწიფოებისათვის აწესებს საცურაო აუზების დაცვისა და აღჭურვის რეგულაციებს, როგორებიცაა - ოთხმხრივი შემოსაზღვრა, სიგნალიზაციისა და აბრების განთავსების ვალდებულება. ასევე საჭარიმო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო საცურაო აუზების მესაკუთრეებისა და საჯარო აუზებში მასწავლებლებისა და ზედამხედველების მიმართ⁵⁶.

⁴⁷სისხლის სამართლის კოდექსის 220¹ მუხლი:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=197>

⁴⁸სისხლის სამართლის კოდექსის 247-ე მუხლი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=197>

⁴⁹სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=197>

⁵⁰სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=197>

⁵¹მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პრაქტიკული სახელმძღვანელო წყალში დახრჩობის შემთხვევათა პრევენციის შესახებ, http://www.who.int/violence_injury_prevention/drowning/drowning_prevention_guide/en/

⁵²მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიში წყალში დახრჩობის შემთხვევათა შესახებ,

http://www.who.int/violence_injury_prevention/global_report_drowning/en/

⁵³ 2011 წლის 27 მაისის ევროკავშირის გადაწყვეტილება საბანაო წყლების კლასიფიკაციისა და ინფორმაციის განთავსების ერთიანი სიმბოლოების შემოღების შესახებ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/FR/TXT/?uri=legisum%3Aco0018>

⁵⁴2011 წლის 27 მაისის ევროკავშირის გადაწყვეტილება საბანაო წყლების კლასიფიკაციისა და ინფორმაციის განთავსების ერთიანი სიმბოლოების შემოღების შესახებ;

<https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/f57b9b38-d150-412f-82b9-3fe6eb5a1043/language-en>

⁵⁵მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიში წყალში დახრჩობის შემთხვევათა შესახებ,

http://www.who.int/violence_injury_prevention/global_report_drowning/en/

⁵⁶საცურაო აუზების უსაფრთხოების ევროპული გაიდლაინი;

https://europe.ilsf.org/sites/europe.ilsf.org/files/BasicGuidance_SwimmingPools_web.pdf

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის მოგვარებულ საკითხად ითვლება კომპეტენციების გადანაწილება სახელმწიფო უწყებებს შორის. ერთმნიშვნელოვნად, საკუთარი ტერიტორიების წყლის რესურსების შესწავლა, აღნუსხვა და განსაკუთრებული საშიში ადგილების ბარიერებითა და გამაფრთხილებელი აბრებით აღჭურვა და მონიტორინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აბსოლუტური და საკუთარი კომპეტენციაა⁵⁷.

2011 წლიდან ევროკავშირის სახელმწიფოები შეიმუშავებენ წყალში დახრჩობის პრევენციის სტრატეგიულ გეგმებს, რათა კოორდინირებულად დააკვირდნენ კლიმატის ცვლილებებიდან და ბუნებრივი კატაკლიზმებიდან გამომდინარე წყლის ნაკადების ცვლილებას და დროულად განათავსონ დამატებითი აბრები და ბარიერები⁵⁸.

ნიდერლანდებში პოლიტიკა მკაცრად ორიენტირებულია წყალდიდობების აღრიცხვასა და კონტროლზე. წყლის ეროვნული ცენტრი მთელი ქვეყნის მასშტაბით აკონტროლებს წყლის ნაკადების ყოველდღიურ ცვლილებას, რათა შეინარჩუნოს წყლის უსაფრთხო და ოპტიმალური დონე. კრიზისის შემთხვევაში ეროვნული საკოორდინაციო ცენტრი ინფორმაციას აწვდის შესაბამის უწყებებსა და პირებს, მათ შორის - მუნიციპალიტეტებს დამატებითი გამაფრთხილებელი აბრების შესაბამის ადგილებზე დროულად განსათავსებლად. გარდა ამისა, ჰოლანდიური პროგრამა დელტას⁵⁹ დანიშნულებაა ნიდერლანდების წყლების დაცვა. მართალია, პროგრამა პირდაპირ არ არის ორიენტირებული წყალში დახრჩობის აღსაკვეთად, მაგრამ კარგი მაგალითია სხვა სახელმწიფოებისათვის, თუ როგორ უნდა მოახდინონ არსებული წყლების მართვა და მონიტორინგი უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

2013 წლიდან გაერთიანებულმა სამეფომ შეიმუშავა წყალში დახრჩობის პრევენციის ერთიანი სტრატეგია. სტრატეგიის განმახორციელებელია წყალზე უსაფრთხოების ეროვნული ფორუმი. ფორუმი აერთიანებს 6 საკონსულტაციო პროფესიონალურ ჯგუფს, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან შემდეგ მიმართულებებზე: სანაპიროს უსაფრთხოება; შიდა წყლები; ზღვა და საცურაო აუზი; ინფორმაცია და კვლევა ცურვის, როგორც სპორტის, უსაფრთხოების შესახებ. საკოორდინაციო ჯგუფი პირდაპირ კავშირშია ადგილობრივ საჯარო ხელისუფლებასთან, კვლევით სექტორთან და უსაფრთხოების სამსახურთან (რომლის კომპეტენციაშია პირველადი დახმარება). ფორუმის სამდივნო ქმნის შემთხვევის პრევენციის სამეფო საბჭოს და აწვდის ინფორმაციას სახელმწიფოს წყალთან დაკავშირებული უსაფრთხოების შესახებ⁶⁰.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, როგორებიცაა - დანია, ფინეთი, ნორვეგია, ისლანდია და შვედეთი, ცურვისა და წყალთან დაკავშირებული უსაფრთხოების პოლიტიკა დაფუძნებულია სასკოლო პროგრამებზე⁶¹.

სკანდინავიის ქვეყნებში, წყალში დახრჩობის პრევენცია პირველად და მეორად ღონისძიებებადაა დაყოფილი. პრევენციის პირველადი ღონისძიებებია საცურაო აუზებისა და საცურაო არხების ბარიერების დაყენება, წყალთან მიახლოების კონტროლი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე; სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის ცურვის გაკვეთილების ჩატარება და წყალში უსაფრთხოების შესახებ მათი ინფორმირებულობა. მეორადი ღონისძიებებია, მაგალითად, სამაშველო აღჭურვილობისა და სამაშველო რგოლების განთავსება; ფართო საზოგადოებისთვის ცურვისა და სამაშველო უნარ-ჩვევების სწავლება. ცენტრალური ხელისუფლების დონეზე წყალში დახრჩობის პრევენცია ეფექტიანი პოლიტიკისა და კანონმდებლობის არსებობა, რომელიც მოიცავს კოორდინირებული მოქმედებების ერთობლიობას სახელმწიფოს სხვადასხვა სექტორებს შორის, წყლის უსაფრთხოების ეროვნული

⁵⁷ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პრაქტიკული სახელმძღვანელო წყალში დახრჩობის შემთხვევათა პრევენციის შესახებ, http://www.who.int/violence_injury_prevention/drowning/drowning_prevention_guide/en/

⁵⁸ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პრაქტიკული სახელმძღვანელო წყალში დახრჩობის შემთხვევათა პრევენციის შესახებ, http://www.who.int/violence_injury_prevention/drowning/drowning_prevention_guide/en/

⁵⁹ წყალში დახრჩობის პრევენციის ჰოლანდიური პროგრამა „დელტა“ - <https://www.government.nl/topics/delta-programme>, 2018 წლის 14 ოქტომბრის მდგომარეობით.

⁶⁰ გაერთიანებული სამეფოს წყალში დახრჩობის პრევენციის სტრატეგია, <http://www.nationalwatersafety.org.uk>, 2018 წლის 14 ოქტომბრის მდგომარეობით.

⁶¹ მარტინ ანდერსონი, დახრჩობის პრევენცია სკანდინავიის ქვეყნებში, https://www.theseus.fi/bitstream/handle/10024/121293/Andersson_Martin.pdf

გეგმის შემუშავებას, რომელიც დაეფუძნება გეოგრაფიული არეალისა და არსებული შემთხვევების წინასწარ მოკვლევულ ინფორმაციას⁶².

სკანდინავიის ქვეყნებში სამაგალითო საშუალო სკოლების ეროვნული კურიკულუმი, რომლის მიხედვითაც ცურვის გაკვეთილები მოსწავლეთა ყოველდღიურობის ნაწილია⁶³.

სკანდინავიის ქვეყნების პოლიტიკა, ასევე, ეფუძნება სწრაფი რეაგირების და გადაუდებელი დახმარების კონცეფციას. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, წყალში მომხდარი შემთხვევისას უმნიშვნელოვანესია სწრაფი და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება. შესაბამისად, გათვალისწინებულია სპეციალური მომზადების პროგრამები და მობილური ბრიგადების მობილიზება განსაკუთრებით რისკ ზონებთან ახლოს⁶⁴.

ევროკავშირის მოთხოვნების შესატყვისად, წევრი სახელმწიფოებისთვის სავალდებულოდ დადგენილია საცურაო აუზების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წესები⁶⁵. წესები ეხება როგორც კერძო, ისე საჯარო საცურაო აუზებს, რომლებიც განთავსებულია როგორც ღია, ისე დახურულ სივრცეში.

მაგალითად, 2003 წლის (კანონი n.2003-9, 2003 წლის 3 იანვარი, საცხოვრებელი გარემოს მოწყობის შესახებ კოდექსის L 128-1 მუხლი) საფრანგეთის საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, 2004 წლიდან საცურაო აუზის მესაკუთრე ვალდებულია:

1. საცურაო აუზი შემოსაზღვროს დამცავი კედლით;
2. ჰქონდეს სიგნალიზაციის სისტემა;
3. ჰქონდეს მაშველი რგოლი;
4. დააყენოს სიღრმის მაუწყებელი დაფა.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საცურაო აუზში ადამიანის დახრჩობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება საცურაო აუზის მესაკუთრეს, როგორც საცურაო აუზის მცველს (სამოქალაქო კოდექსის 1242-ე მუხლი). მასვე ეკისრება ზიანის ანაზღაურება. კანონმდებლობის შესაბამისად, დაუცველი საცურაო აუზის ქონის შემთხვევაში მესაკუთრე ჯარიმდება 45000 ევრომდე ჯარიმით, ხოლო მსხვერპლის გარდაცვალების შემთხვევაში, დამატებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით. 2016 წელს სპორტის ფაკულტეტის სტუდენტის სწავლის პროცესში საცურაო აუზში დახრჩობის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა მის მასწავლებელს⁶⁶.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მკაცრ სანქციებს განსაცდელში მყოფი პირის დაუხმარებლობისა და გაუფრთხილებლობით მკვლელობისათვის⁶⁷.

ევროკავშირის სახელმწიფოების კანონმდებლობა საცურაო სივრცეს სამ ნაწილად ყოფს: საშიში ზონები, სადაც ცურვა აკრძალულია; ალჭურვილი ზონები, სადაც ცურვა ნებადართული, მაგრამ რეგლამენტირებულია; თავისუფალი სივრცე, სადაც ცურვა თავისუფალია, არ ხორციელდება მონიტორინგი და არც საფრთხის შემცველი ადგილია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სახელმწიფომ დააწესა ვალდებულება, რომ ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა

⁶²მარტინ ანდერსონი, დახრჩობის პრევენცია სკანდინავიის ქვეყნებში, https://www.theseus.fi/bitstream/handle/10024/121293/Andersson_Martin.pdf

⁶³მარტინ ანდერსონი, დახრჩობის პრევენცია სკანდინავიის ქვეყნებში, https://www.theseus.fi/bitstream/handle/10024/121293/Andersson_Martin.pdf

⁶⁴მარტინ ანდერსონი, დახრჩობის პრევენცია სკანდინავიის ქვეყნებში, https://www.theseus.fi/bitstream/handle/10024/121293/Andersson_Martin.pdf

⁶⁵საცურაო აუზების უსაფრთხოების ევროპული წესები, https://europe.ilsf.org/sites/europe.ilsf.org/files/BasicGuidance_SwimmingPools_web.pdf

⁶⁶ იურიდიული სახელმძღვანელო ცურვის უსაფრთხოების შესახებ საფრანგეთში, <http://www.tarn-et-garonne.gouv.fr/content/download/4343/27311/file/Guide%20juridique%20dans%20l%27organisation%20des%20baignades.pdf>

⁶⁷იურიდიული სახელმძღვანელო ცურვის უსაფრთხოების შესახებ საფრანგეთში, <http://www.tarn-et-garonne.gouv.fr/content/download/4343/27311/file/Guide%20juridique%20dans%20l%27organisation%20des%20baignades.pdf>

ამგვარი ადგილის სიახლოვეს განათავსოს აბრა, რომ საცურაო ადგილი არ არის ზედამხედველობის ქვეშ⁶⁸.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელნი არიან სამივე ტიპის საცურაო სივრცეზე, თავ-თავისი ტერიტორიული ერთეულების შესაბამისად. საშიში ზონის სტატუსსაც ამა თუ იმ ადგილს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ანიჭებს. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის როლი მთავარია - ის უნდა დარწმუნდეს, რომ საფრთხე რეალურია, მიიღოს მუნიციპალური განკარგულება ცურვის აკრძალვის შესახებ; მიუთითოს განკარგულებაში საფრთხის ბუნება და ხარისხი; განათავსოს აკრძალვის აბრა და საფრთხის სერიოზულობიდან გამომდინარე ბარიერი. აბრები ორნაირია: დროებითი აკრძალვის და მუდმივი აკრძალვის⁶⁹.

ბანგლადეშში, ვიეტნამსა და ტაილანდში ხორციელდება პროგრამა swimsafe, რომელიც სკოლის მოსწავლეებს უფასო ცურვის გაკვეთილებს უტარებს. პროგრამა წყალში მოქცევის, უსაფრთხოებისა და პირველადი დახმარების წესების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირებულობასაც ზრდის⁷⁰.

გარემოს დაცვის შესახებ მონტენეგროს კანონი აწესებს სპეციალურ პირობებს და ვალდებულებებს კერძო ბიზნესისთვის ადამიანის სიცოხლის დაცვის უზრუნველსაყოფად⁷¹. კანონი ითვალისწინებს სპეციალური კონტროლის შესაძლებლობას გარემოზე დაკვირვების ინსპექტორის საშუალებით, რათა მუდმივად კონტროლდებოდეს სანაპიროები და აღინუსხებოდეს საშიში ზონები, ვინაიდან სანაპიროებზე ვითარების ცვალებადობა ბუნებრივად მუდმივი პროცესია.

ქალაქ ბუდვამში, სანაპიროს იმ მონაკვეთზე სადაც ზღვა განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ძალისხმევით და მათ მიერ გამოყოფილი თანხებით აშენდა სპეციალური კედელი. მას დაუყენეს კარი, რომელიც საფრთხის დროს იკეტება, ხოლო სხვა დროს ღიაა.

ზღვაზე მაშველები ლიცენზიებს იღებენ მკაცრი კომბინირებული გამოცდების საფუძველზე (თავად უნდა იყოს ფიზიკურად ჯანმრთელი, მომზადებული, კარგად უნდა ცურავდეს და შეეძლოს პირველადი კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა) და მხოლოდ ერთი წლით⁷².

არსებობს სპეციალური სტანდარტები ტურისტული ნაგებობისა და კატერებისათვის პარამეტრები, უსაფრთხოების ზომები, ადამიანთა დასაშვები რაოდენობა⁷³.

2018 წლის 26 სექტემბრის სტანდარტები წყალში შეჭრილი ბილიკების შესახებ. სპეციალური წყალში შეჭრილი ბილიკების სტანდარტი მუნიციპალიტეტებისა და კერძო ბიზნესისათვის - მოაჯირები უნდა იყოს ბეტონისა და ხის. პლასტმასის დაუშვებელია, რადგან შესაძლებელია, გამოიწვიოს მოცურება, რაც ერთიორად ზრდის ადამიანის წყალში ჩავარდნისა და დახრჩობის რისკს.

⁶⁸იურიდიული სახელმძღვანელო ცურვის უსაფრთხოების შესახებ საფრანგეთში, <http://www.tarn-et-garonne.gouv.fr/content/download/4343/27311/file/Guide%20juridique%20dans%20l%27organisation%20des%20baignades.pdf>

⁶⁹იურიდიული სახელმძღვანელო ცურვის უსაფრთხოების შესახებ საფრანგეთში, <http://www.tarn-et-garonne.gouv.fr/content/download/4343/27311/file/Guide%20juridique%20dans%20l%27organisation%20des%20baignades.pdf>

⁷⁰ბავშვთა წყალში დახრჩობის პრევენციის ორგანიზაცია <http://swimsafe.org>

⁷¹მონტენეგროს კანონი გარემოს დაცვის შესახებ:

https://www.paragraf.rs/propisi/zakon_o_proceni_utiliteta_na_zivotnu_sredinu.html, 2018 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით.

⁷²მონტენეგროს კანონი გარემოს დაცვის შესახებ:

https://www.paragraf.rs/propisi/zakon_o_proceni_utiliteta_na_zivotnu_sredinu.html, 2018 წლის 3 ოქტომბერი.

⁷³მონტენეგროს კანონი გარემოს დაცვის შესახებ:

https://www.paragraf.rs/propisi/zakon_o_proceni_utiliteta_na_zivotnu_sredinu.html, 2018 წლის 3 ოქტომბერი

VI. რეკომენდაციები

სახელმწიფოს მიერ დაუყოვნებლივ მისაღები ზომები:

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუყოვნებლივ მიიღოს კანონქვემდებარე აქტი „წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“. წინამდებარე რეგულაციის მიღება ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

სახელმწიფომ დროულად სრულყოს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად.

სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებამდე გადაიდგას ეფექტიანი ნაბიჯები ტრაგიკული შემთხვევების პრევენციისათვის, კერძოდ:

1. გამოვლინდეს და აღირიცხოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა საშიში ზონა.

2. სათანადო წესით, თვალსაჩინოდ განთავსდეს ამგვარ ადგილებში საინფორმაციო გამაფრთხილებელი აბრები და დამონტაჟდეს შესაბამისი ბარიერები წყალთან მისასვლელუბის შესაზღუდად.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსმა გაითვალისწინოს მკაცრი სანქციები მოქალაქეებისათვის, რათა არ მოხდეს რისკის ზონებში განთავსებული ბანაობის ამკრძალავი აბრების უგულებელყოფა.

4. წყლის ობიექტებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების გამოძიებები შსს-მ წარმართოს სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური გალდებულების სტანდარტით - ყოველმხრივ და სრულყოფილად, იმგვარად, რომ კონკრეტული საქმის გამოძიებისას გამოვლენილი იყოს კონკრეტული წყლის ობიექტის მართვასა და მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყებისა თუ კერძო კომპანიის შესაძლო ბრალეულობა.

5. სეზონის განმავლობაში, მაღალი საფრთხის შემცველ ადგილებზე უზრუნველყოფილი იყოს ეფექტიანი სამაშველო და პატრულირების სისტემის დანერგვა; იმაგდროულად, ამგვარ ადგილებში სასურველია სამაშველო რგოლების განთავსება.

6. სახელმწიფომ დანერგოს და განახორციელოს მოწყვლად ჯგუფებზე (ბავშვებსა და ახალგაზრდებზე ორიენტირებული) ცნობიერების ამაღლების კამპანია.

- 7.

ზოგადი და თანმიმდევრული რეკომენდაციები ცენტრალური ხელისუფლების მიმართ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წყალში დახრჩობის შემთხვევათა პრევენციის შესახებ პრაქტიკული სახელმძღვანელოს შესაბამისად ⁷⁴:

1. სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს წყალში დახრჩობის პრევენციის სტრატეგია, ქვეყნის გეოგრაფიული სიტუაციისა და წყალში დახრჩობის შედეგად გარდაცვლილთა, ასევე - წყალში დახრჩობით გამოწვეული უბედური შემთხვევების ანალიზზე (სტატისტიკისა და მონაცემთა კვლევა, რომელიც საფუძვლად დაედება კანონმდებლობასა და პოლიტიკის დოკუმენტს) დაყრდნობით, რათა შემდგომში დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებები იყოს არსებული გამოწვევების შესაბამისი, ეფექტიანი და მდგრადი.

2. სტრატეგიის შესაბამისად, უნდა შემუშავდეს წყალზე უსაფრთხოების ეროვნული გეგმა, რომელიც მოიცავს გეგმის შესასრულებლად საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაციას. გეგმამ უნდა მოიცავს ქვეყნის გეოგრაფიულ სიტუაციისა და გამოწვევებზე ადაპტირებული ამოცანები და ამოცანების განხორციელების

⁷⁴ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პრაქტიკული სახელმძღვანელო წყალში დახრჩობის შემთხვევათა პრევენციის შესახებ, http://www.who.int/violence_injury_prevention/drowning/drowning_prevention_guide/en/

მექანიზმები. ეროვნული გეგმა უნდა შეესაბამებოდეს წყალზე უსაფრთხოების შესახებ გამართულ კანონმდებლობას.

3. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს გამართული/სისტემური კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს როგორც წყალზე უსაფრთხოების ზომების, ისე მაკონტროლებელი ორგანოებისა და სახელმწიფო უწყებათა შორის პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ რეგულაციებს. კანონმდებლობა უნდა ანაწილებდეს პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, მიჭნავდეს კომპეტენციებს.

4. სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა გააუმჯობესოს მონაცემთა შეგროვების სისტემები, საშიში/რისკ ზონებისა (მათ შორის - ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად გამოწვეული) და წყალში დახრჩობის შედეგად გარდაცვლილი ადამიანების, დახრჩობის გარემოებებისა და მიზეზების შესახებ.

კონკრეტული რეკომენდაციები

➤ საქართველოს მთავრობის მიმართ:

საერთაშორისო სტანდარტი და გამოცდილება აჩვენებს, რომ ადეკვატური სტატისტიკის წარმოება პრობლემის მოსაგვარებლად დასაგეგმი და განსახორციელებელი ქმედებების უმთავრესი პირობაა. კერძოდ, იმისათვის, რომ სახელმწიფომ შემუშავოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ზუსტად უნდა ჰქონდეს აღწერილი შემთხვევების რაოდენობა საშიში ზონების, გარემოებებისა და რისკ ჯგუფების გათვალისწინებით.

შემუშავდეს პოლიტიკის დოკუმენტი და მის შესაბამისად ცვლილებები შევიდეს კანონმდებლობაში, ერთი მხრივ, საშიში ზონებისა და მეორე მხრივ, ღია წყლებზე (ზღვა, მდინარე, ტბა, არხი და ა.შ.) სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის ვალდებულებებისა და კომპეტენციების გამიჯვნის შესახებ. აქვე სახელმწიფოს ჰქონდეს ვალდებულება შესაბამისი რეგულაციები დააწესოს საჯარო და კერძო საცურაო აუზების მართვის შესახებ.

ცენტრალურ დონეზე აუცილებელია შესაბამისი კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება. კერძოდ: წყლის მართვის შესახებ ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისი კანონის შემუშავება და მიღება; შესაბამისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მიღება და გადახედვა; ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებების განხორციელება, სადაც ზედმიწევნით გაიწერება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ვალდებულება, აღრიცხონ სიცოცხლისთვის საშიში ზონები, განათავსონ შესაბამისი ბარიერები და ბანერები და განახორციელონ მონიტორინგი.

სრულყოფილმა კანონმდებლობამ უნდა მოიცავს შემდეგი საკითხები:

1. სახელმწიფო უწყებებს შორის გაიმიჯნოს კომპეტენციები წყლის ობიექტების დაცვისა და მონიტორინგის თვალსაზრისით.

2. კანონმდებლობამ განმარტოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია. კერძოდ - ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა უნდა აკონკრეტებდეს, რომელი დაწესებულება რა საჯარო გარემოსდაცვით ინფორმაციას უნდა ფლობდეს, აგროვებდეს და ავრცელებდეს.

3. დადგინდეს კონკრეტული სტანდარტები საშიში ზონების დაცვის შესახებ.

4. დამუსტდეს სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები. წყალში დახრჩობის შემთხვევებში განისაზღვროს პასუხისმგებელი უწყებები. მომზადდეს შესაბამისი კანონმდებლობა (სისხლის სამართლებრივი), როგორც მატერიალური, ისე პროცედურული.

5. გაიმართოს სახელმწიფოთაშორისი რეგულაციები, წყლის მართვის, მონიტორინგისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისათვის დროული შეტყობინების უზრუნველსაყოფად.

6. განისაზღვროს კერძო სექტორთან სახელმწიფოს მიერ წყლის ობიექტებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების სტანდარტი და დაინერგოს შესაბამისი მონიტორინგის სისტემა.

7. ვინაიდან საქართველო არის წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყანა, უცხოელთა ინფორმირების მიზნით, მომზადდეს სპეციალური ბუკლეტები და დარიგდეს საზღვრებზე, როცა ისინი შემოდიან ქვეყანაში.

8. სკოლებში დაინერგოს ცურვის, წყალში საფრთხეში მყოფი ადამიანების გადარჩენის, პირველადი დახმარების სწავლება. სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიდეს წყალზე უსაფრთხოების საკითხები, სასწავლო კურიკულუმებში - უსაფრთხოებისა და ცურვის გაკვეთილები.

9. დაწესდეს რეგულაციები კერძო ბიზნესისათვის - წყლის ობიექტებზე ბიზნესსაქმიანობის შემთხვევაში (კერძო დასასვენებელი პლაჟები, კერძო სარგებლობაში არსებული ტბები, მდინარეები თუ წყალსაცავები), კანონმა დააწესოს მკაცრი ვალდებულება სერტიფიცირებული მაშველების დაქირავებისა და დამსვენებელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

10. ჯომარდობის, ბერდვოჩინგის (წყლის ფრინველებზე დაკვირვების განხრით) და წყლის ობიექტებთან დაკავშირებული სხვა სპეციფიური ტურისტული მიმართულებებისთვის მომზადდეს სპეციალური რეგლამენტები და დაიგეგმოს პრევენციული ღონისძიებები.

➤ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ

1. აღნუსხონ და შეისწავლონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის ობიექტები, მოახდინონ სიცოცხლისთვის საშიში და უსაფრთხო ზონების კლასიფიკაცია; დააწესონ მუდმივი კონტროლი და მონიტორინგი;

2. წყლის ობიექტებზე ბუნებრივი კატაკლიზმების, სტიქიების (შტორმი, წყალმოვარდნა, წყალდიდობა და ა.შ.) შედეგად წარმოქმნილი საშიში ზონები აღჭურვონ გამაფრთხილებელი ბანერებით, საჭიროების შემთხვევაში - ბარიერებით, მოქალაქეთა დროული ინფორმირების მიზნით.

3. მოაწყონ წყლის ნაპირზე სპეციალური დაცული საბანაო ადგილები სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლებსაც გააკონტროლებენ მაშველები.

4. სასკოლო ასაკის ბავშვებს მიაწოდოს წყალზე უსაფრთხოების შესახებ სპეციალური ინფორმაცია.

5. წყალში დახრჩობის პოტენციურ მოწმეებს შეასწავლონ უსაფრთხოების მანევრები და რეანიმაცია (პირველადი სამედიცინო დახმარება).

6. წყალში დახრჩობის პრობლემის შესახებ საინფორმაციო კამპანიების უზრუნველყოფა.